კონსტრუქციული დასკვნა

საპროექტო ობიექტი:
ქ. თბილისი, მ. ხერგიანის ქ. №19, ს/კ 01.11.10.008.221, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საგანი:
მომიჯნავე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება მშენებლობის წარმოების პროცესში

საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა 12 სართულიანია, ერთი მიწისქვეშა (ავტოსადგომი) სართულით. საძირკვლები – 100 სმ სისქის მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი ფილა, ძირის აბსოლუტური ნიშნულით 530,90.

საპროექტო შენობას სამხრეთიდან ემიჯნება ნაკვეთი საკადასტრო კოდით 01.11.10.008.218, რომელზეც განლაგებულია 12 სართულიანი მშენებარე კორპუსი. მშენებარე კორპუსსაც გააჩნია ერთი მიწისქვეშა სართული და მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი საძირკვლის ფილა ძირის აბსოლუტური ნიშნულით 531,30. მინიმალური დაშორების მანძილი შენობებს შორის - 1,5 მ. შესაბამისად დაცულია სამშენებლო ნორმების და წესების "შენობების და ნაგებობების ფუძეები პნ 02.01-08" მუხლი 10 პუნქტი 5 მოთხოვნები. ნორმების ეს პუნქტი ასახავს მომიჯნავე ფუძე-საძირკვლების გეომეტრიის და გრუნტებზე ძალვების (შენობების დატვირთვები) განაწილება-ურთიერთგავლენის პარამეტრებს.

დანარჩენ მომიჯნავე ნეკვეთებზე განლაგებული შენობა-ნაგებობები დასკვნაში არ განიხილება, ვინაიდან ისინი საპროექტო შენობას დაშორებული არიან 20,0 მეტრზე მეტი მანძილით. რაც შეეხება დასავლეთით მდებარე მუნიციპალურ სატრანსპორტო გზას, მის მიმართ ქვაბულის ფერდოს მოწყობა შესაძლებელია ნორმირებული დახრის კუთხით.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი მშენებლობის წარმოება არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობა-ნაგებობების და მუნიციპალური სატრანსპორტო გზის მდგრადობაზე, როგორც მშენებლობის პროცესში, ასევე გრძელვადიანი პერსპექტივით.

ექსპერტი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი, ტ.მ.დ.,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი ე. წოწერია

თბილისი 12-08-2024